ცნობის ფურცელი

№ 1928 ოთხშაბათი, 18 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1928

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

განცხადება

იერ კავკასიის რკინის გზათა მმართველობა

სთხოვს ყველას, ვინც რკინის გზების აგენტებს უხდის რაიმე დამატებით ან შესავსებე გადასახადს, უთუოდ მოსთხოვონ აგენტებს, რომელნიც ამ გადასახადებს იღენ, დაწესებული კვიტანცია იმის დასამტკიცებლად, რომ ფული გადაიხად, რადგან, თუ ასეთი კვიტანცია არ მიიღეს, შესაძლებელია მეორედ მოსთხონ ფულის გადახდა. (ნ. 5—5)

1-ლ ოქტომბრიდან გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკ. კურსები. სასწავლებელი საგნები:

ანატომია, ფიზიოლოგია; — ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფეოდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა, პრაქტიკული მეცადინეობა — ექიმები: ა. გ. მაღალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—8)

პანსიონი და სასწავლებელი

გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—1)

27 მიმდინარე სექტემბერს,

დღის 10 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

განსახილველად და გადასაწყვეტად შემდეგის საკითხებისა:

1) ბ. ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს თარიღით ბანკის მოგების განაწილების წეს-რიგის შესახებ;

2) ცნობა ბანკი დამფუძნებელთათვის ფულის დაბრუნების ახალის წესის შესახებ;

3) ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოგებათა განაწილება;

4) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთათვის **უმაღლესად** ნაბოძების 40 ათასი მანეთის ხმარება;

5) ბანკის დამფუძნებელთა ფულიდან შემოწირულების დანიშვნა;

6) **მისი იმპერატორებითი უმაღლესობის** დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ მყოფის ისტორიულ და თანამედროვე კოსტიუმების საერთაშორისო გამოფენის მთავარ კომისარის წერილი;

7) თავად-აზნაურთა სახლის მმართველობის თავმჯდომარის არჩევა;

8) შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთა მორიგი კრებები მარტის მაგიერ იანვარში ისშნებოდეს.

ვაუწყებ ამას გუბერნიის თავად-აზნაურებს და ვსთხოვ მათ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზე.

(ნ. 3—1) **გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. ვ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

ფრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკინსკიდისა, № 21. (აბჯალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

(ტელეფონი № 617)

დღეს 17 სექტემბერს დაიწყება საოპერო სეზონი. ხარკოვის დასის მიერ.

წარმოდგენილი იქნება

ფაუსტი

ოპერა 4 მოქმედ. და 5 სურათად, მუსიკა გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: გაშინსკაია, დობჟანსკაია, ბაუერ; ბატონები: ლენსკი, პოლუიანოვ, ჩემეზოვ, პეტროვ და სხვანი. **ბალეტი** გაიმართება ბალეტმეისტერის მენაბენის მიერ. **კოსტიუმები** და სხვა მოწყობილება საკუთარს სახელოსნოში მზადდება. ახალი **დეკორაციები** დახატულია მხატვარის ბ. ნოვაკისაგან. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ბილეთები, რომელნიც აღებულია 17 სექტ. „პიკოვაია დამა“-ზე, გამოდგება 18 სექტემბერს „ფაუსტის“ წარმოდგენაზე.

ანონსი: ხუთშაბათს, 19 სექტემბერს დადგმულ იქნება „ევგენი ონეგინი“.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—2)

ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის **გასცემს იჯარით ქვისა, აგურისა, სადურგლო და სხვა სამუშაოებს სემინარიის ახალი შენობისათვის;** განცხადებები მიიღებიან ამ სამუშაოებზე სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა. იგივე მთავრობა მიიღებს განცხადებებს აგრეთვე სხვა-და-სხვა **მასალის ჩაბარებაზე, მაგალითად, ქვის, აგურისა, კირის, ხის მასალებზე და სხვა მასალებზე.**

(3—406—1) **მღვდელი ეპ. ჯაბოშვილი.**

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ემილ ზოლა

გუშინ ტელეგრაფმა სრულიად მოულოდნელი ამბავი გვაუწყა: პარიზში გარდაიცვალა საფრანგეთის შესანიშნავი მწერალი და მოღვაწე ემილ ზოლა.

ამ ამბავს მწუხარებით გაიგონებს არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი განათლებული ქვეყანა, რომელიც ყოველთვის გულდადებით ჰკითხულობდა ზოლას ლიტერატურულს ნაწარმოებთ, ხოლო ბოლოს დროს გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მის პოლიტიკურს ბრძოლას.

როგორც მწერალი, ემილ ზოლა ცნობილი იყო ახალ გზის გამკაფველად. მან შეჰქმნა სრულიად ახალი მიმართულება, ახალი სკოლა, ეგრედ წოდებული „ნატურალისტური“, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ყველა განათლებულ ქვეყნების ლიტერატურაზე. ამ მიმართულების დედა-აზრი ის არის, რომ ხელოვნებაც უნდა დაემორჩილოს მეცნიერებასაო: ემილ ზოლამ აღიარა, რომ ხელოვნებაშიაც საჭიროა მტკიცე მეცნიერული საბუნებისმეტყველო მეთოდით ხელმძღვანელობაო და შეჰქმნა ეგრედ წოდებული ექსპერიმენტალური რომანი, რომელშიაც ცხოვრება, ადამიანთა ურთიერთობა, ადამიანის სულის ვითარება, მოქმედება შესწავლილ დასურათებულია მეცნიერულ ფიზიოლოგიისა და ფსიხოლოგიის და აგრეთვე სოციოლოგიურ კანონების ზედგავლენის ქვეშ. როგორც მიმართულება, ნატურალიზმი გაგრძელება იყო რეალიზმისა და ცხოვრების სინამდვილის აღწერაში კიდეც გადააჭარბა წინანდელს სკოლას. შეიარაღებული თანამედროვე მეცნიერების ცოდნით ნატურალიზმის მეთაურმა თვალწინ გადაგვიშალა თანამედროვე ცხოვრება და აუწერელი არ დასტოვა არც ერთი ბნელი, საძაგელი მხარე ამ ცხოვრებისა, არც ერთი საზიზღარი მოძრაობა ადამიანის სულისა. რეალიზმიც ცხოვრების სინამდვილის დამსურათებელი იყო, მაგრამ რეალისტების სურათს მაინც ათბობდა და ამაღლებდა იდეალიზმი; ნატურალიზმმა უკუაგდო ყოველი იდეალიზაცია და სასტიკის ანალიზით გადაგვიშალა თანამედროვე ცხოვრების ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა, ადამიანის გამხეცება და სრული დაცემა.

ასეთ მეცნიერულის მეთოდის სრულს გაბატონებას ხელოვნებაში არ შეეძლო თვის ერთმხრივობით ცუდი შედეგი არ მოჰყოლოდა. მართლაც, გაჩნდნენ ზოლას მიმდევარნი, რომელთაც მეტის მეტად გადააჭარბეს და ყოველი სიბინძურის აღწერაში, დეტალურ დაწვრილებით დასურათებაში საზღვარს სცილდებოდნენ. მაგრამ თვით ემილ ზოლა ამ გადაჭარბებიდან ბოლოს და ბოლოს იხსნა მისმა დიდმა ნიჭმა. ამ ნიჭმა, მეცნიერულად განვითარებასთან ერთად, შეაძლებინა ზოლას შეექმნა მრავალი რომანი, რომელნიც სინამდვილით გვიხატავენ მთელს თანამედროვე ცხოვრებას. ვერც ერთი მომავალი ისტორიკოსი ჩვენის საინტერესო ხანისა გვერდს ვერ აუვლის ზოლას რომანებს, თუ მოინდომებს ამ ხანის ფსიხოლოგიისა და ფიზიოლოგიის გაგებას. ბურჟუაზულმა ხანამ შესანიშნავი ანალიტიკოსი იპოვა, რომელმაც შესძლო და ამ ხანის ცუდი პირობები გამოამჟღავნა ხელოვნურს ნაწარმოებებში.

ამ მხრით შესანიშნავია ზოლას რომანების მთელი რიგი, ეგრედ წოდებული „რუგონ-მაკარების“ სერია. აქ ნატურალიზმის მამამთავარმა იხელმძღვანელა მემკვიდრეობის თეორიით და დაგვისურათა საფრანგეთის ცხოვრება ნაპოლეონ მესამის ხანისა; ამ რომანებში მომავალი მკითხველი დაინახავს არა იმას, თუ როგორ მოქმედებდა მემკვიდრეობა, სისხლი, ერთის მოდგმის ოჯახში, არამედ—სურათს ბურჟუაზიულ ცხოვრებისას და თანამედროვე ადამიანის გახრწნას სხვა-და-სხვა საზოგადოობრივი მოუწყობლობის მიზეზით.

შემდეგს რომანებში ემილ ზოლა თან-და-თან და უფრო და უფრო წინ აყენებს სწორედ სოციალურს ფაქტორებს და სწერს რომანებს ფულის გავლენის შესახებ (ლ’არჟან), კლერიკალიზმისა და სარწმუნოების ზედმოქმედების შესახებ (ლუვრ), შრომის მდგომარეობის შესახებ (უვრიერ), თანამედროვე ოჯახის შესახებ (ფეკონდიტე), მილიტარიზმის შესახებ (დებაკლ) და-სხვა-და-სხვა. ამ ახლო ხანში ზოლა შეუდგა ახალ რომანის „სიმართლის“ წერას, რომელიც, ვგონებთ, დაუმთავრებელი დარჩა.

სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ემილ ზოლაც ვერ ასცდა ცალმხრივობას და ცოტა არ იყოს ვერ მიხვდა სავსებით, რა ცვლილება ხდება თანამედროვე ცხოვრების სიღრმეში და რომ სავსებით ვერ შეიგნო თანამედროვე ცხოვრების ნიადაგზე მზადდება ახალის ცხოვრების ელემენტები; სტიქიონური მოძრაობა (ჟერმინალ) თან-და-თან შეგნებული ხდება და განახლება მოაქვს იმ ძველის ევროპიათვის, რომლის ღრმა დაცემა ასე ხელოვნურად აღგვიწერა ახლად გარდაცვალებულმა მწერალმა.

მაგრამ ზოლა მარტო მწერალი არ ყოფილა. ბოლოს დროს მთელს ქვეყანას წინ წარმოუდგა „დიდებული მოქალაქე“, რომელიც არაფერს არ შეუშინდა და სიმარ-

თლის დასაცველად თითქმის მთელს თავის სამშობლოს შეებრძოლა. ეს იყო შესანიშნავი ბრძოლა, რომელსაც ჯერაც არ მოღებია ბოლო და რომელიც განახლებას უქადის საფრანგეთის რესპუბლიკას.

საფრანგეთის მთავრობამ დაატუსაღა და, შემდეგ საიდუმლოდ საქმის გარჩევისა, კატორღაში გაგზავნა ებრაელი აფიცერი დრეიფუსი, რომელსაც დაბრალდა უსაშინელესი ბოროტება—სამშობლოს ღალატი. დრეიფუსის ახლობელ-მეგობრებმა გამოიძიეს საქმე და აღმოაჩინეს, რომ დრეიფუსი სრულიად მართალი იყო და რომ იგი დაღუპეს უმთავრეს შტატის გამგეებმა თავის ინტრიგებითა და ყალბის დოკუმენტებით. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ვერა გააწყეს, რადგან მთავრობა მტკიცედ იცავდა შტაბს და საქმის გადასინჯვაზე არ თანხმდებოდა. მთელი საფრანგეთი დარწმუნებული იყო, დრეიფუსი მოღალატეაო, ხოლო გაიძვერა გენერლებმა სამშობლო დაიფარეს განსაცდელისაგანაო...

ასე ამ რიგად უნდა დაჩაგრულიყო სიმართლე და უნდა გაემარჯვნა ბოროტებას. მაგრამ ამ დროს აღიმაღლა თავისი ხმა ემილ ზოლამ და შესანიშნავს წერილით მიჰმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს. ემილ ზოლა თხოულობდა საქმის გადასინჯვას, ბოროტ გენერალთა დასჯას და უდანაშაულოდ დასჯილის განთავისუფლებას. ამით დაიწყო შესანიშნავი ბრძოლა, რომელიც ყველას გვახსოვს და აქ მოსაგონებელი აღარ არის. საფრანგეთის მთელი რეაქცია შეიარაღდა და საშინელი იერიში მიიტანა პატარა ჯგუფზე, რომელიც ემილ ზოლას მეთაურობით მხნედ გამოვიდა სიმართლის დასაცველად. თან-და-თან ბრძოლა გართულდა. აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკა მძიმე ავადმყოფი ყოფილა და მისი დამხობა მოუწადნიათ კლერიკალიზმისა და მილიტარიზმის შეერთებულ ძალებს. მაშინ ემილ ზოლას დაწყებულ საქმეს სულ სხვა მნიშვნელობა მიეცა და მთელი დემოკრატიაც ბრძოლის ველზე გავიდა. როგორც ვთქვით, ეს ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა: საფრანგეთის დემოკრატია ახლაც შეიარაღებულია და ენერგიულად ებრძვის რეაქციას; მაგრამ ახლა უეჭველია ყველასათვის, საითკენ იქნება გამარჯვება. დემოკრატია უეჭველია ძირს დასცემს რეაქციასა, ხოლო მისი მომავალი თაობანი არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ ამ დამხობის საქმეში უდიდესი ღვაწლი ემილ ზოლასაც მიუძღვის.

საზღვარ-გარედ

ავსტრ-ჰუნგრეთი. კოშუტის იუბილეის დროს მაინც მომხდარა დემონსტრაცია. სახელმწიფო შენობები და ზოგიერთი საზოგადოც, მათ შორის საოპერო თეატრიც, არა ყოფილა მორთული. ამის გამო საღამოთი ხუთასიოდე კაცი მოგროვებულა საოპერო თეატრის წინ და უყვირნია, საზოგადოება წავიდეს თეატრიდანაო. პოლიციამ ბევრჯელ სთხოვა დემონსტრანტებს, დაიშალენითო, და რაკი თხოვნით ვერას გახდა, ბოლოს პოლიციამ ძალა მოიხმარა. მოხდა დიდი არეულობა. ხალხი შეშინდა, გაიფანტა, მაგრამ მალე ისევ მოგროვდა და პოლიციას ლანძღვა დაუწყო. მაშინ ცხენოსანი პოლიციელები დაერივნენ ხალხს, გაფანტეს და რამდენიმე კაციც დააპატიმრეს. რამდენისამე სახლის ფანჯარებიც კი დაელეწნათ, რატომ არ გააჩირაღდნეთო.

◆ ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებდა, მლადოჩეხების დასში ამ ჟამად არეულობა ჰსუფევსო და დასის მეთაურებს ერთი პირი აღარა აქვთ და არ იციან როგორ მოიქცნენ და რა ტაქტიკას დაადგნენ, როცა მთავრობა ავსტრ-ჰუნგრეთის შეთანხმების პროექტს წარმოუდგენს პარლამენტსაო. მორაველი მლადოჩეხების მეთაურს სტრანსკის თავის ამომრჩევლების წინ ულაპარაკნია მლადოჩეხების ეხლანდელ პოლიტიკაზე და სულ სხვა უთქვამს. სტრანსკის შეუტყობინებია ამომრჩევლებისთვის, მლადოჩეხების კლუბში სრული თანხმობა ჰსუფევსო. კერბერის კაბინეტი კი დიდად საშიშია ჩეხის ერისათვის: ეს სამინისტრო მეტად ოსტატურადაა შედგენილი, ჩეხებისა და პოლონელების ოფიციალური წარმომადგენელნიც კი ჰყავს წევრებად. ნამდვილად კი სამინისტრო ფარულად გერმანელების ბატონობას უწყობს ხელსა. ავსტრიის მთავრობას ჯერ არა ჰყოლია კერბერისთანა დახელოვნებული კაცი; მეტად მარჯვედ იცავს გერმანელების ბატონობას. კერბერი სლავიანთა უპეტესობას ებრძვის და ცდილობს, იმის გათანასწორებას გერმანელებთან ხელი შეუშალოს. მლადოჩეხების მომავალ პოლიტიკაზე უნდა მოგახსენოთ, ათასი მუქარა რომ შეუთვალონ, მაინც ხელს ვერ აღებინებენ ობსტრუქციაზე ჩეხებს სულაც არ ეშინიათ განმარტოებისა. აბსოლიუტური წესების დაწესება საშიში არაა, რადგანაც ფაქტიურად ავსტრიაში მაინც ეს წესებია შემოღებული. არც იმისი გვეშინიან, რომ ჩვენი წარმომადგენელი მინისტრი რეზეკე სამინისტროდან დაითხოვონ. დიდს პატივსა ვცემთ რეზეკეს, მაგრამ მაინც იმის გულისათვის ჩვენ საქმეს არ ვუღალატებთ. როგორც დააყენეს, ისიც გადააყენონ. გვეუბნებიან, წინადაც აკი დარწმუნდით, რომ ობსტრუქცია უსარგებლო იყო და უარ-ჰყავით კიდეცა და ეხლა ხელ-მეორედ უნდა დაუბრუნდეთ ამ უნაყოფო ხერხსაო. ესეც შეცდომაა: ჩვენ ობსტრუქციაზე ხელი არას დროს არ აგვიღია, მარტო ვადა მივეცით მთავრობას გერმანელთ გავლენისა და პატრონობისაგან განთავისუფლებულიყო და დრო ჰქონოდა თავისი დაპირება აესრულებინა. ავსტრ-ჰუნგრეთის შეთანხმების პროექტი ხომ ბიუჯეტი და არხების პროექტი არაა, რომ ჩეხებმა ამის განხილვასაც ხელი არ შეუშალონ. ძლიერ შესცდება, ვისაც იმედი აქვს, ჩეხის წარმომადგენლები ეხლაც წყნარად მოიქცევიან და მთავრობას დაუთმობენო.

◆ ერთი პანგერმანისტული გაზეთი სწერს, ხმა დადის კერბერის სამინისტრო გადადგება და იმის მაგიერ საპარლამენტო კაბინეტი დაინიშნებაო. ახალ კაბინეტში ჩეხები და პოლონელებიც მიიღებენ მონაწილეობასაო. ამ სამინისტროში გერმანელთაგან მარტო კლერიკალები დაინიშნებიანო, ერთის სიტყვით, მემარჯვენეთა სამინისტრო იქნებაო.

„ნოიე ფრაიე პრეს“-ეს კიდევ სხვანაირად გაუგია. რაკი ავსტრ-ჰუნგრეთის შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკება გასჭირდა და ჩეხებიც ობსტრუქციის გამართვას ემუქრიან, კერბერი ჰფიქრობს ჩეხებისა და გერმანელების წარმომადგენლები სამინისტროში მოიწვიოს და ამით ეს ორი დასი პარლამენტში ერთმანეთს დაუკავშიროს. ეს რომ მოხერხდეს, მაშინ გერმანელები და ჩეხები თითონვე მორიგდებიან ეროვნულ საქმეებში და კერბერიც განთავისუფლდება პასუხისგებისაგან.

პოლონური გაზეთი „ჩას“-ი აყვედრის „ნ. ფ. პრესე“-ს, ასე უდროვოდ რად გამოაცხადა კერბერის პლანი, მაგრამ თითონ ამ პლანს კი არ უარჰყოფს. გაზეთი თავის მხრივაც კი უმატებს: ახალ კაბინეტში პოლონელებიც იქნებიან მიწვეულებიო.

სტაროჩეხების გაზეთი „პოლიტიკ“-ი იუწყება: პოლონელთ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ძედუშიცკისაგან გავიგეთ, რომ თითონ კერბერი სულაც არა ჰფიქრობს პირველ-მინისტრის ადგილიდან გადადგომას და ეხლანდელ სამინისტროს ზოგიერთ წევრებსაც დასტოვებს, სხვათა შორის, საერო განათლების მინისტრს გარტელსაცაო. ამ მინისტრის მოქმედება კი მეტად მავნებელი იყო ავსტრიის სლავიანებისათვისაო.

იტალია. წარსულ შაბათს მინისტრად ნამყოფის და მეცნიერის მიქელე კოპინოს გადაცვალების წლის თავზე, ქალ. ალბაში, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა გალიმბერტიმ სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრმა ჯერ კოპინოს (ალბაში იყო დაბადებული) ცხოვრება და ღვაწლი დაასურათა: იმ ბრწყინვალე თაობას ეკუთვნოდა, რა თაობამაც იტალიის ერთობა შექმნაო. მერე გალიმბერტიმ იტალიის ეხლანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე ილაპარაკა. ორატორმა აღნიშნა, ეხლანდელი იტალია სამშვიდობო პოლიტიკას ეტანება და სცდილობს, ხალხის ყველა ნაწილები შეათანხმოსო. ეს თანხმობა იტალიისათვის დიდად საჭიროა, რადგანაც ჩვენი ერი ახალგაზდა ერია, გარშემო კი სულ ძველი მძლავრი ერები გვახვევია. ჩვენში მრეწველობა, ეს არის, ეხლა იბადება, ამიტომ იტალიისათვის ძლიერ საშიშია ევროპისა დანამეტნავად ამერიკის მოცილეობა. ჩვენ დროში ყველაზე დიდი მნიშვნელობა სოციალურ რეფორმებს აქეთ, ამიტომ ამ რეფორმების მოხდენა თითონ სახელმწიფომ უნდა იკისროს ისე, როგორც წარსულ საუკუნეში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება იკისრა. სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ბრძნულად მართოს ქვეყანა, თუ ძლიერ კანონებს გამოსცემს და ყველას ნამდვილ თავისუფლებას მიანიჭებს. მუშების ორგანიზაცია მშვენიერი საშუალებაა სხვა-და-სხვა სენის აღმოსაჩენად და კანონ-მდებელთა გასანათლებლად. ურიგო არ იქმნება, ვიკითხოთ, განა უკეთესი არ იქნებოდა, მემარცხენეთა უკიდურესი დასი რომ უფრო მხნედ და გაბედულად ეხმარებოდეს სამინისტროს და უფრო და უფრო მხნედა და უშიშრად ძალას ატანდეს, რომ სამინისტრომ სოციალური რეფორმები მოახდინოს. საფრანგეთში რესპუბლიკა სოციალისტებისა და დემოკრატიულ დასების ერთობამ დაიცვა; ამ ნაირად იტალიაშიაც მემარცხენეთა ყველა დასები გულ წრფელად და ძმურად უნდა შეერთდნენ საზოგადო წესიერებისა და თავისუფლების დასაცველად.

შეერთებული შტატები. ამას წინად მოხსენებული გვქონდა, ნიუ-იორკის შტატის რესპუბლიკელ დასის მეთაურმა სენატორ პლატმა გამოაცხადა: ნიუ-იორკის შტატის კონვენტი რუზველტს მართველობას კი მოუწონებს, მაგრამ 1904 წლისათვის პრეზიდენტის კანდიდატად კი აღარ აირჩევსო. ყველამ იფიქრა, ალბად, პლატი იმაზე ემუქრება რუზველტს, რომ პრეზიდენტმა ტრესტების წინააღმდეგ ბრძოლა გამართაო. თითონ რესპუბლიკელებსაც არ მოეწონათ პლატის ქცევა; ამიტომ პლატმა, ძალა-უნებურად, დასის მეთაურები შეკრიბა. კრებამ გადაწყვიტა, კონვენტმა უნდა ურჩიოს ყველას, რომ რუზველტი 1904 წელს ხელმეორედ აირჩიონ პრეზიდენტადაო. „ტაიმს“-ის ნიუ-იორკელ კორესპონდენტს ძლიერ საყურადღებოდ მიაჩნია ეს გადაწყვეტილება:

„სჩანს, რესპუბლიკელ დასის მეთაურები მიჰხვდნენ, უბრალო იქნება ჩვენი მეცადინეობა, რუზველტთან ვერას გავხდებით, მარტო ამომრჩევლებს ავაღელვებთო; სჩანს ეგრეთვე, თუ 1904 წლამდე მოულოდნელი რამ ამბავი არ მოხდა და ხალხმა გუნება არ შეიცვალა, რესპუბლიკელები ისევ რუზველტს აირჩევენ თავიანთ კანდიდატად და მომავალ ექვსის წლის განმავლობაშიაც ამერიკის მმართველობა ისევ ეხლანდელ პრეზიდენტის ხელში იქნება.

◆ დღემდე 13 შტატის კონვენტმა დაადგინა: 1904 წელს პრეზიდენტად ხელმეორედ რუზველტი ავირჩიოთო. ჩრდილოეთ-ამერიკაში სულ 45 შტატია.

◆ წარსულ შაბათს რუზველტს ქალ. ცინცინატში ულაპარაკნია. პრეზიდენტს წინანდებურად უთქვამს: ტრესტებს კონტროლი უნდა დავუწესოთო, თორემ სადამოჟნო ტარიფის დაკლებით ვერას დავაკლებთო. პრეზიდენტმა სთქვა, ტრესტების ალაგმვა სატარიფო კანონების შეცვლით შეუძლებელიაო. ტრესტების ყველა ნაწარმოებს ხომ არ ადევს ბაჟიო, ამიტომ ბაჟების დაკლება ვერას დააკლებს ტრესტებსაო, ან არა და მეტად ცოტას დააკლებსო. რუზველტმა ნავთის და ქვა-ნახშირის ტრესტები გაიხსენა და სთქვა: ბაჟები რომ მოვსპოთ, მართალია, დიდ ზარალს მოუტანთ ტრესტებს, მაგრამ ამით ყველა წვრილ მწარმოებლებსა და დაინტერესებულ მუშებსაც დიდ ზარალს მოუტანთო. პრეზიდენტის აზრით, ტრესტების ასალაგმავად ერთად-ერთი საშუალება გამოდგება: კონტროლი უნდა დაუწესდეთ. აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამ ჟამად ბევრი საბუთია საიმისოდ, რომ შეერთებულ შტატების კონსტიტუცია შეიცვალოს, მაგრამ პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ეხლანდელი კანონების შემწეობითაც კი ბევრი რისამე გარიგება შეიძლებაო.

ახალი ამბავი

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ კავკასიაში **მოდიან იუსტიციის მინისტრს მურავიევს.** ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი მურავიევი ამ თვის დამლევს ტფილისს ჩამოვა და აქედან ქუთაისს წავა იქაურ სასამართლოთა დაწესებულებებისა და ამათ ახალის სახლის დასათვალიერებლად.

◆ გუშინ **სავაჭრო სკოლა** გაიხსნა. ეს სკოლა ტფილისის ვაჭრებისაგანაა დაარსებული განსაკუთრებით დიდებისათვის. დიდი თანხა შესწირა ამ საქმეს ა. ი. მანთაშევმა.

◆ „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ მოიპოვა უფლება თავ. აკაკი წერეთლის მიერ გადმოთარგმნილ **კრილოვის იგავ-არაკების** გამოცემისა. თავ. აკაკის უკვე დაუსრულებია 300 ლექსის გადმოთარგმნა. გამგეობა აპირებს სურათებიან კრებულის გამოცემას იაფ-ფასად.

◆ როგორც მკითხველებმა იწყიან, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ **პრემიები დანიშნა** საუკეთესო პიესების ავტორთა დასაჯილდოვებლად. პიესების წარდგენის ვადა პირველ ოქტომბერს თავდება. ჯერ-ჯერობით გამგეობამ საპრემიოდ ოთხი პიესა მიიღო.

◆ ბ-ნმა არაყიშვილმა განცხადება შეიტანა ამას წინად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობაში და სთხოვა მუზეუმთან გამართოს განყოფილება, სადაც შეკრებილ და დაცულ უნდა იქმნას ქართული **სამუსიკო საგრავები.** გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს მოხსენება და გადაწყვიტა, გამართოს ასეთი განყოფილება. კარგი იქმნება, ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ვისაც ძველი საკრავი აქვს, გაუგზავნოს ხსენებულ გამგეობას.

◆ **იურიევიდან გვატყობინებენ:** წელს აქაურ უნივერსიტეტის პირველ კურსზე მიღებულ იქმნა ხუთი ქართველი, რომელთაც ქუთაისის სასულიერო სემინარიაში დაამთავრეს სწავლა. სამაგიეროდ ვეტერინარიის ინსტიტუტში ყველა ქართველს უარი გამოუცხადეს.

◆ ამ ბოლო დროს ტფილისის მაზრაში **ქურდობა გახშირდა;** სამაზრო ადმინისტრაცია ცდილობს ბოლო მოუღოს ამას, მაგრამ ჯერ ბოლო ვერ მოუღია ქურდობისათვის. მარტო ალბულაღში ამ მოკლე ხანში 15 სხვა-და სხვა ქურდობა მომხდარა. ადგილობრივ ბოქაულს უფიქრია, ალბად, წრე უნდა იყოს ქურდებისაო, დასდგომია ამის კვლევასა და მართლაც აღმოუჩენია 10 კაცი, რომელთაც შეადგენენ ალბულაღელნი მკვიდრნი, ჯარის კაცნი და ვაჭარიც-კი. რა თქმა უნდა, ყველა ესენი ამ ჟამად გამომძიებლის ხელში არიან.

პატარძეულის საზოგადოების მინდვრებიდან 17 სექტემბერს ქიზიყელებს ბათრებს სოფლის 9 სული საქონელი წაუსხამთ. კვალი ყარაიას სამოვრებამდე მიიტანეს, მაგრამ ქურდები ჯერ არ აღმოუჩენიათ, თუმცა დაეძებენ.

◆ ამას წინად სხდომა ჰქონდა ამიერ-კავკასიის საფეიქრო საქონლით მოვაჭრე **ფაბრიკანტთა ამხანაგობის** საბჭოს ექიმის ბ-ნ სპ. ი. ვაწაძის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრნენ საბჭოს წევრნი: კნ. ს. დ. დიასამიძისა, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ექიმი დ. ა. გედევანიშვილი, თავ. გ. ნ. დიასამიძე, ა. ნ. ღექანოზიშვილი, დ. დ. ჯმუხაძე, ს. ი. ფურცელაძე ფერქაშვილი და პროვიზორი ი. მ. შნიდერი. საბჭომ ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის გასაცნობად გადაათვალიერა სავაჭრო წიგნები და შეამოწმა საქონელი საწყობში და ყველაფერი რიგსა და წესზედ აღმოჩნდა. როგორც ანგარიშიდან დაინახა საბჭომ, ამხანაგობას დიდძალი საქონელი ჰქონია შეძენილი, წარმოება თან-და-თან იზრდება და მუშტარიც ემატება მაღაზიასა და საწყობს. შემდეგ საბჭომ საწარმოვო თანხის გადიდებას მიაქცია ყურადღება. ჯერ-ჯერობით სასურველად დაინახა წევრთა რიცხვის გამრავლება. ამ აზრით გადასწყვიტა, დაავალოს ამხანაგობის საქმეთა გამგეს ბ-ნ ი. ს. ალხაზიშვილს მიიღოს შრომა, შემოიაროს ამიერ-კავკასიის კუთხეები და მოუპოვოს ამხანაგობას რაც შეიძლება მეტი წევრი. რაც შეეხება დროებით საწარმოვო თანხის გაძლიერებას, საბჭომ დაადგინა ითხოვოს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან სანდო კაცების თავმდებობით 10,000 მან. ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია დეკემბრის პირველ რიცხვებისათვის.

◆ **ქიზიყიდან გვწერენ:** 16 სექტემბერს მოხდა აქ შავის-ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება. უნდა აერჩიათ სარევიზიო კომისიის ორი წევრი, ბ-ნთ კაკაბაძესა და გასფელდის ნაცვლად,

ეროვნული

და საბჭოს სამი წევრი. არჩეულ იქმნენ: სარევიზიო კომისიის წევრებად—დიმიტრი აბაშიძე და სიმონ ჯაფარიძე, ხოლო საბჭოს წევრებად—იოსებ აბდუშელიშვილი, ნესტორ ბეჟანიშვილი და გიორგი ცერცვაძე.

◆ 1899 წელს ახალქალაქის მხარეს **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს** კრება ექნება ხვალ, 19 სექტემბერს, გუბერნატორის კანცელარიაში. სხვათა შორის, უნდა დაადგინონ კომიტეტის გაუქმებაც.

◆ თელავის მაზრის **სოფელ ვაჩნაძიანის** სასოფლო საავადმყოფოს გამგე კომიტეტმა ამას წინად მიმართა სამკურნალო გამგეობას და სთხოვა შეატყობინონ სამკურნალოს ექიმსა და ფერშალს ჯამაგირი რამდენი უნდა დაენიშნოს, რომ ამისდა მიხედვით სოფელს გარდასახადი გაეწეროს. გუშინ სამკურნალო გამგეობამ მისწერა კომიტეტს, რომ ექიმს უნდა დაენიშნოს 1200 მან., ხოლო ფერშალს—300 მან. წელიწადშიო.

◆ ტფილისის მე-10 ნაწილის ბოქაულს ტერ-გრიქუროვს მოუწვევია ქალაქის ექიმი და ერთად ჩამოუვლიათ სხვა-და-სხვა სავაჭრო ადგილები, რომ იქაური **სანიტარული მდგომარეობა შეეტყოთ.** ზოგ მოვაჭრეებს ბინძურობა აღმოუჩინეს და დაავალეს ვადაზე ყოველივე გაასუფთაონ. საზოგადოდ კი შეუნიშნავთ, რომ ამ უბანში სუფთაობა უფრო მეტს დაუცავს ამ ბოლოს დროს, ვიდრე წინად.

◆ ფინანსთა სამინისტროს სამრეწველო სკოლათა გამგე, ბ-ნი ანტროპოვი, 16 სექტემბერს ტფილისის **საკომერციო სასწავლებელში იყო** და გაკვეთილები მოისმინა კლასებში. თან ახლდა ოლქის ინსპექტორი ბ-ნი ფიშერი. გუშინ ამ სასწავლებელში წლიური აქტი იყო.

◆ თავად-აზნაურთა ახლად **შეკეთებული თეატრი** გუშინ საგუბერნიო კომისიამ დაათვალიერა და ყველაფერი რიგიანად დაინახა.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის აქ ყოფნის დროს მისს რწმუნებულს კავკასიაში, ბ-ნ მედვედევს, განზრახვა აქვს იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე **სახარჯო თანხა მოუმატონ შინა-მრეწველობის კომიტეტს.** რაც აქამდე ამ კომიტეტის შესანახი ფულია გადადებული, არ კმარა თურმე იმისათვის, რომ შინა-მრეწველობაში კარგად განვითარებული კაცები მოიწვიოს კომიტეტმა და ამიტომაც ამ მრეწველობის შესწავლა ჩვენს ქვეყანაში იმ გზას ვერ ადგა, როგორიც სასურველიაო.

◆ დღეს, 18 სექტემბერს, იწყება თავ. ა. ა. წერეთლის **საოპერო დასის წარმოდგენები** სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოადგენენ გუნოს ოპერას „ფაუსტს“. თავ. წერეთელს კარგი დასი შეუდგენია. ბევრი ცნობილი მომღერალია ამ დასში, ამიტომ, ეჭვი არ არის, ყოველ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრება.

◆ **16 სექტემბერს ტფილისის მიდამოებში ადლუმები დასრულდა და ჯარებმა გუშინ-წინვე იწყეს თავ-თავიანთ ბინასაკენ წასვლა.**

◆ 15 სექტემბერს ტფილისში მცხოვრებმა ბერძენმა გიორგი ივანოვმა განაცხადა პოლიციის მე-6 ნაწილში, რომ ყაგიზმანის ოლქის მცხოვრებმა პალაიოტ ნიკოლაევმა მომპარა 475 მან. და სადღაც მიიმალაო.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე, შეკეთებულ იქნას ელისაბედის ქუჩა, ესაძისა და საკოვის სახლების პირდაპირ, რადგანაც ეს ქუჩა ძალზე მინგრეულ-მონგრეულიაო.

ტფილისის ქალაქის საბჭო

16 სექტემბერი

საბჭოს სხდომას ორშაბათს დაესწრო 30-მდე ხმოსანი. ამ სხდომას იმდენი გარეშე ხალხი მოაწყდა, რომ მაღლა ქანდარაზე ტევა არ იყო. წარსულ სხდომის ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ, გამგეობის წევრმა თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა მოხსენება ხორცის ხარისხებად დანაწილების შეცვლის შესახებ. გამგეობას საჭიროდ დაუნახავს, მაგ., ჩალაღაჯი, რომელიც მეორე ხარისხად იყიდებოდა, პირველად გაიყიდოს. ამასთანავე ქალაქის მოურავის მოადგილემ წაიკითხა გამგეობის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ. საბჭომ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, ჩალაღაჯი ისევ მეორე ხარისხის ხორცში დასტოვა და დაამტკიცა სავალდებულო დადგენილებათა პროექტი. ამასთანავე დაევალა გამგეობას ამ სხდომის ოქმის ხელის მოწერამდე მოხსენება წარუდგინოს გუბერნატორს დასამტკიცებლად.

დანარჩენი დრო ნაშუაღამევის პირველ საათამდე საბჭომ მოანდომა გუბერნატორის იმ წინადადების განხილვას, რომლითაც ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტი უნდა გადაკეთებულ იქმნეს კომისიად. ვიდრე არსებითად საქმის განხილვას შეუდგებოდნენ, ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა ითხოვა წაეკითხნათ საქალაქო დებულების მე-42 და მე-131 მუხ. მეორე ტომისა, რომელ მუხლების ძალითაც გუბერნატორი [illegible] ქალაქის მოურავის მოადგილეს, საბჭოს [illegible] ეცნობოს საიდუმლო მიწერ-მოწერის შინაარსიო. გაგზავნეს მეორე ტომის მოსატანად.

ხმ. თავ. გ. მ. თუმანოვი. ვიდრე აქ აღნიშნულ მეორე ტომის დასახელებულ მუხლებს გაგვაცნობდნენ, უნდა აღვნიშნო, რომ კომიტეტი არსებობს, თანახმად საქალაქო დებულების მეორე მუხლის მე-13 შენიშვნისა. გამგეობამ სახეში მიიღო თუ არა ეს გარემოება და აცნობა თუ არა გუბერნატორს, რომ კომიტეტი სრულიად კანონიერია და არსებობს საქალაქო დებულების მე-2 მუხ. მე-13 შენიშვნის ძალით?

თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი. გამგეობას ამ საქმის განხილვის დროს სახეში ჰქონდა თავ. თუმანოვის მიერ დასახელებული მე-13 შენიშვნა, მაგრამ თავისის შინაარსით ეს მუხლი სრულებით აქ მოსატანი არ არის, რადგან იგი ეხება ისეთს წესდებათა და დაწესებულებათ, რომელთა არსებობა საზოგადოდ კანონისაგან ნება-დართულია, ქალაქში სასმელების დუქნებისა, სანიტარულ მდგომარეობის და სხვა ამგვარ დაწესებულების წესიერად დასაყენებლად და არა ისეთს განსაკუთრებულს წესდებას, რომლის ძალითაც არსებობს კომიტეტი. შეიძლება სთქვან, რომ დამოუკიდებლად არსებობს და მოქმედებს სასანიტარო-სამკურნალო კომისია, მაგრამ ეს ხოლერობის დროს უმაღლესის ნება-რთვით იქმნა შემოღებული და ამავე გზით შეიძლება მათი გაუქმება.

თ. გ. თუმანოვი. ეგ განმარტება მოყვანილია იმ საქალაქო დებულებიდან, რომელიც გამოცემულია მიშისაგან. 1892 წლ. საქალაქო დებულებაში ნათლად არის აღნიშნულ-დაკანონებული, რომ მის გამოცემამდე კანონის თანახმად დაარსებულნი დაწესებულებანი ხელ-უხლებელნი რჩებიან შემდეგაც, ასე რომ გამომცემელს მიშს არ შეეძლო წინადვე წარმოედგინა განსაკუთრებული წესდებანი. კომიტეტი ეს 25 წელიწადი სრულიად კანონიერად მოქმედებს. ამიტომ იმის გაუქმება ასე ადვილი არ არის. ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ რამდენად კანონიერია მისი არსებობა. გამგეობას უნდა მოეწვია იურისტები. არავითარი უფლება არა გვაქვს ასეთ დაწესებულებების მოსპობის დროს საკუთარის მოსაზრებებით ვიხელმძღვანელოთ. შეუმუშავებლად გუბერნატორისთვის მოხსენება არ უნდა გაეგზავნათ.

თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი. გუბერნატორისათვის მოხსენება ამ საქმის შესახებ გამგეობას არ გაუგზავნია. გამგეობას საბჭოს უფლების წინააღმდეგ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ამ საქმეში. ჩვენ, დიდის ხნის ჩხრეკისა და კამათის შემდეგ, დავრწმუნდით, რომ ამ დაწესებულების არსებობა არ შეესაბამება 1892 წლის საქალაქო დებულებას და, აღვნიშნეთ რა ეს გარემოება, მთელი საკითხი საბჭოს წარმოვუდგინეთ განსახილველად. გუბერნატორს ჩვენ მარტო ის ვაუწყეთ, ვიდრე საბჭო ამ საგანზე რაიმე გადაწყვეტილებას არ დაადგება, კომიტეტის გაუქმება უხერხულიაო.

ს. მ. დოდუხანოვი. სწორედ გაუგებარია, რატომ არ უნდა ეუწყოს საბჭოს ამ საქმის შესახებ საიდუმლო მიწერ-მოწერათა შინაარსი? ეს კოლეგიალური დაწესებულებაა, სადაც არავითარი საიდუმლოება არ უნდა არსებობდეს. თქვენ საიდუმლო ქაღალდების შინაარსი იცით, ჩვენ კი არა გვსმენია რა და რა ნაირს გადაწყვეტილებას უნდა დავადგეთ, არ მესმის სწორედ! შესაძლებელია ხალხის დასწრებით უხერხული იყოს საიდუმლო ქაღალდების წაკითხვა, მაშინ სთხოვეთ, გარეშე ხალხი დარბაზიდან გავიდეს და გაგვაგებინეთ, რაშია საქმე...

ქ. მ. მოადგილე შესტაკოვი. გუბერნატორმა ამ ქაღალდების წაკითხვის ნება სხდომაზე არ მოგვცა და მოგვწერა, ეგ საქმე იმ ქაღალდების დამოუკიდებლად განიხილეთო.

ხმ. სულხანიშვილი. გუბერნატორის მიერ დასახელებულ მუხლებში, რომელთა ძალით საიდუმლო ქაღალდების შინაარსს ვერ გაგვაცნობთ, აღნიშნულია, რომ ერთის დაწესებულების მეორისადმი საიდუმლოდ მინაწერ ქაღალდის შინაარსი ვერ გაეცნობა გარეშეთ, მაგრამ არ მესმის, ვინ არის გარეშე? განა ეს დაწესებულება ქალაქის საბჭო არ არის? თუ მარტო თქვენა ბრძანდებით, ბ-ნო ქალაქის მოურავის მოადგილევ, ეს დაწესებულება და აქ ჩვენ არასფერს შუაში ვართ? ესეც არ იყოს, მე კომიტეტი კანონიერ დაწესებულებად მამაჩნია, მაგრამ შეიძლება საიდუმლო ქაღალდებში ისეთი საბუთებია მოყვანილი, რომ იმის უკანონობაში დამარწმუნოს და მაშინ დავთანხმდები კომიტეტის სრულიად გაუქმებაზე.

კ. მ. ალიხანოვი. ეს საქმე დიდად დამახასიათებელია ჩვენგან არჩეულ გამგეობის მოქმედებისა. ვიდრე ამაზე ვიტყოდე რამეს, უნდა აღვნიშნო საქმის არსებ[illegible]. კომიტეტი არსებობს 25 წლიწადი[illegible] მისი მოქმედება ნაყოფიერია. მისი არსებობა საქალაქო დებულების ძალით კანონიერია და მაშასადამე, 25 წლის შემდეგ მისი უკანონოდ მიჩნევა სწორედ გასაოცარია! სულ სხვაა, რომ სთქვან, სასურველია გადაკეთებაო. მაშინ უნდა მოვიქცეთ იმ წესით, რა წესითაც დაარსების დროს მოვიქეცით, ესე იგი—საბჭომ უნდა გადასწყვიტოს შეცვლის ანუ გადაკეთების საჭიროება და შემდეგ შევუდგეთ კომისიის შედგენას. ამ საქმის გამო საბჭოს დაუკითხავად გამგეობის-მიერ მიწერ-მოწერის დაწყება თვითნებობად მიმაჩნია. ჯერ საბჭოს უნდა ჰქონებოდა მსჯელობა, ამასა თხოულობს სენატის განმარტებაც. ეხლა რასა ვხედავთ? ქალაქის მოურავის მოადგილე საბჭოს არ ეკითხება და თავის ნებით ამ საქმეზე მიწერ-მოწერას ჰმართავს. არსად ისეთი დამოკიდებულება საბჭოსა და გამგეობას შორის არა ყოფილა, როგორიც ეხლა აქ არის. მე მაოცებს, რას უჩქაროდნენ მიწერ-მოწერას, განა არ შეიძლებოდა მოცდა საბჭოს სხდომამდე?! სულ სხვაა ჭირი რომ გაჩენილიყო და იმას გამოეწვია ასეთი აფუსფუსება. ჩვენს გამგეობას ამის გამო ვეტყვი, რომ კარგი არ არის, ბატონებო, ასეთი ქცევა! (ხმები მართალია, მართალი; ქანდარაზე ტაშის ცემაა. მოურავის მოადგილე მდივანს მიჰმართავს, ყოველივე ის, რაც ქანდარასა და საბჭოში ხდება, აღნიშნე ოქმშიო).

შესტაკოვი. საქმეები საბჭოში განსახილველად შემოგვაქვს გუბერნატორის მოწერილობის თანახმად.

თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი. გამგეობისადმი ბ-ნ კ. მ. ალიხანოვის საყვედური აიხსნება იმით, რომ იმან დაწვრილებით ამ საქმის გარემოება არ იცის; დარწმუნებული ვარ, როცა გაიცნობს, თავის სიტყვას—„კარგი არ არის“ უკანვე წაიღებს. კომიტეტი ექვემდებარება საბჭოს. ყველა ის საქმე, რომელიც კომიტეტის მოქმედებას შეეხება, განიხილება ხოლმე საბჭოში და არა გამგეობაში. გამგეობაში კომიტეტის შესახებ შეტანილ იქმნა განსახილველად პრინციპიალური საკითხი. ჯერ კიდევ 8 თებერვალს გამგეობის სხდომაზე მოურავის მოადგილემ მოითხოვა, განგვემარტა, რას წარმოადგენდა კომიტეტი? ჩვენ განვუმარტეთ, რომ იგი აღმასრულებელი დაწესებულებაა, რომელსაც გამგეობის დამოუკიდებლად ექვემდებარება ქალაქის სკოლები. შემდეგ შესტაკოვს პროფესიონალური დედათა სასწავლებლის წესდების ერთს მუხლში ენახა, რომ ეს სასწავლებელიც კომიტეტს ექვემდებარებოდა. ახლა ამაზე აღძრა საკითხი, რომელია ეს კომიტეტიო. განმარტების შემდეგ გამგეობაში ამ საგნის შესახებ არაფერი განხილულა, ვიდრე რევიზიის მოხდენის შემდეგ კომისიისა და გამგეობის შეერთებულმა კრებამ სახელოსნო სასწავლებლის წესდების ახალი პროექტი არ შეადგინა. რაც შეეხება ალიხანოვის საყვედურს, უნდ აღვნიშნოთ, რომ გამგეობამ ამ საკითხის შესახებ არაფერი არ იცოდა იმ დრომდე, ვიდრე იმის სახელზე ოფიციალური მოწერილება არ მოვიდა გუბერნატორისაგან კომიტეტის გაუქმების შესახებ. ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა ამ საგნის გამო სხდომა და ორჯელ გუბერნატორს პასუხად მივსწერეთ, რომ ჩვენის ნებით კომიტეტს ვერ გავაუქმებთ, ვიდრე საბჭოს არ დავეკითხებითო. ჩვენ არც მოვსპეთ კომიტეტი უსაბჭოოდ და არც ნება გვქონდა, მხოლოდ ჩვენი დადგენილებით აღვნიშნეთ, რომ კომიტეტი არ შეესაბამება 1892 წლის საქალაქო დებულებას და წარმოვიდგინეთ ეს საქმე განსახილველად. ეხლა, ჩემის აზრით, ეს-ღა დაგვრჩენია, უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღვძრათ, რომ კომიტეტი ისევ იმ უფლებებით დარჩეს, როგორც აქამდე იყო. სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო გამგეობა. ბ-ნ ალიხანოვს შეუძლიან თუ არა ამის შემდეგ სთქვას: „კარგი არ არისო“. მე ვითხოვ, თავისი სიტყვა იმან უკანვე წაიღოს.

კ. მ. ალიხანოვი. ეს სიტყვა თავის შინაარსით მაგდენს საყვედურს არ გამოხატავს. თუ გნებავთ, მაგ სიტყვას უკან წავიღებ, მაგრამ მაინც არ გეტყვით, რომ გამგეობა კარგად მოქცეულა-მეთქი.

ამ საგნის შესახებ დიდხანს ილაპარაკა შემდეგ ხმ. ა. ს. ბაბოვმა, რომელმაც მოითხოვა, კენჭი ეყარათ იმ წინადადებისათვის, რომ საბჭომ კანონიერ დაწესებულებად იცნო კომიტეტი, მწუხარებას საგდებს გამგეობის მოქმედების გამო და ამ დრე განხილვას სტოვებს იმ დრომდე, ვიწავლებლის განიხილავდეს სახელოსნო სასდა, რომ ხმოსნებს. კამათი ისე გამწვავთავის სიტყვაში ბუღდანოვმა შესტაკოვს თხრელი უწოდა. კრეტის საფლავის გამპარაკების შემდეგ მიიღო ერგა ხანს მოლაგ. მ. თუმანოვისა: დაევალოთება ხმ. თავ. გეობას მოიწვიოს თავის სხდომაქის გამდა აგრეთვე გარეშე იურისტები, რომელნი უნდა განიხილონ ეს საგანი იურიდიულ და გამოსთქვან თავიანთი მოსაზრება. ეს მოსაზრება ახლო მომავალში უნდა წარედგინოს საბჭოს განსახილველად.

პრესსა

ნიკო ნიკოლაძე უარს ამბობს: ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობაზე კენჭს არ ვიყრიო. „თუმც დიდათ საპატიოა დედა-ქალაქში წინამძღვრობაო, ამბობს ბ. ნიკოლაძე, და თან ფოთიდან ტფილისს გადმოსახლება მეტად სასარგებლოა ჩემის სიმრთელისათვის და საამოა პიროვნებისათვის, მაინც ხალხმა და მმართებლობამ ფოთს იმისთანა საპასუხისგებო საქმე მომანდო, რომელსაც სრულ დამთავრებამდი ვერავინ გაექცევა.“ სამაგიეროდ ბ. ნიკოლაძე სხვა კანდიდატს გვისახელებს, სახელდობრ: თავ. ვლადიმერ მიქელაძეს. აი რას ამბობს ამ კანდიდატის შესახებ ჩვენი მოღვაწე:

> ქართველობაში, იმ პირთაგან, ვისაც ეხლა კენჭის ყრა შეუძლია, მარტო ეს კაცია (ვლ. მიქელაძე) იმ საქმეში განვითარებული და საიმედო, მარტო ეს არ შეგვარცხვენს არც რუსობის, არც სომხობის წინ. მან მტკიცედ იცის, რომ ტფილისის ქალაქი—აგრეთვე როგორც სრულიად საქართველო, ჩვენმა ნეტარხსენებულმა და გვირგვინოსანმა წარსულმა რუსეთს დაულოცა და დაასაკუთრა. მტკიცედ იცის, ამას გარდა, ტფილისას ქალაქის თავის და თვით-მმართველობის მოვალეობა: ცხოვრება, სწავლა, ვაჭრობა და მუშაობა გაუადვილოს ტფილისში, საყოველთაოთ და თანასწორად, ყველას—მკვიდრს და მოსულს, ღარიბს და მდიდარს, რუსი იყოს, გინდ თათარი, სომეხი, ქართველი, ლეკი თუ ციგანი. იცის, რომ ყველას უფლება უნდა დაიცვას, ყველას სიკეთეს ემსახუროს. ამაზე ვერავინ გვეტყვის: მტრული მიზნით დაგვიყენეთო. ჩემი აზრით და რწმენით ქართველობამ აი ეს კანდიდატურა უნდა დაიდგინოს და სხვებსაც ამ თავითვე დაანახოს. მერმე, გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით, ყველას, სულ ერთია, ნათლათ ეცოდინება ქართველობა საით მიისწრაფებოდა, რისთვის იბრძოდა. ყველასთვის ნათელზე უფრო ცხადი იქნება, რომ ვიბრძოდით საქალაქო (მუნიციპალურ), და არა პოლიტიკურ, ასპარეზზე ვამზადებდით საურთიერთო, საყოველთაო თანასწორობას, და არა მტრობას ან შურის ძიებას. უკანდიდატოთ-კი, რაც დედა-მიწა და საარჩევნო ბრძოლა გაჩენილა, მას აქეთ ჯერ არავის გაუმარჯვია, და თუ რიგიანი კანდიდატი არა გვყავს, უნდა ბრძოლას თავი დავანებოთ.

ნიკო ნიკოლაძის წინადადება დიდათ საყურადღებოა და მომავალი ამომრჩევლები ვალდებულნი იქნებიან კარგათ განსაჯონ ჩვენის ცნობილისა და გამოცდილის მოღვაწის რჩევა.

◆

დაბა-სოფლები

შუამთა (კახეთი). შუამთის ხახულის ღვთის-მშობლის მონასტერი მდებარეობს თელავიდან 8 ვერსის მანძილზე, ცივ-გომბორის მთის კალთაზე, ტფილისის შარა გზის მახლობლად. მონასტერს სახელი ადგილ-მდებარეობისაგან მიუღია: გარშემო შემორტყმული აქვს ხშირი დაბურული მთა, თვით შუაშია გაშენებული მაღალ ვაკე ადგილას, საიდანაც მშვენივრად მოსჩანს ალაზნის თვალ-წარმტაცი მიდამოები.

თვით ღვთის-მშობლის ტაძარი კარგა მოზრდილია და შესაფერი სიმაღლეც აქვს. შიგნით ეკკლესიაში ოთხი მრგვალი განიერი სვეტია, რომელზედაც გადადის თაღები. ზევით ამართულია გუმბათი, საიდანაც ჩამოდის ჯაჭვი, რომელსაც ბოლოში უკავია ვერცხლის ჯვარი. მონასტერი აშენებულია მე-15 საუკუნის დასაწყისში. ეკკლესიის მთელი კედელ-თაღები მოფენილი ყოფილა მშვენიერი მხატვრობით, როგორც ამას მოწმობს აქაიქ კიდევ დარჩენილი ზოგიერთი მხატვრობა, მაგრამ შემდგომ ადამიანის ხელს კედლები თეთრად გაულესია და მხატვრობა დაუფარავს. აქამომდე კიდევ დარჩენილა ორიოდე მოციქულის სურათი.

სამწუხარო უფრო ის იყო, რომ ამ მონასტრის აშენებლის, კახეთის დედოფლის[illegible]მელ თინის საფლავი აქამომდე არ იცოდ[illegible]კრძალული. ალაგას იყო, თუმცა ეკკლესიაში ამ მონასტ- 1899 წელს ეპისკოპოსმა [illegible]ის თავს იდვა მორის წინამძღვრად ყოფნელს ყოვლისა აღებინა სი გამშვენიერება. კილაქანი და იმის ნაცვლად ეკკლესიაში ავიიერი მოზაიკის იატაკი. ამავე გააკეთებინა კახთა მეფის ლეონის მეუღლის დროსას საფლავის ძებნას. როგორც გადმოცემული გამოკვლეია, საფლავი უნდა ყოფილიყო სამხრეთლოსა და ჩრდილოეთ კარების შუა. მართლაც დასახელებულ ალაგას დებულა ერთი პრტყელი ჯვარი ქვა. მცირე პარაკლისის გადახდის შემდეგ, აეხადათ ხსენებული ქვა და დაენახათ მწვანე ქაშანაურის აგურის ფილაქანი და საფლავში შესავალი მრგვალი კარები. ამოესუფთავებინათ შესავალი კარები და გამოეჩინათ თაღ-გადაყვანილი, განით გალესილი და ალებასტრის ფიგურებით შემკული სამარხი, რომელსაც სამ ადლამდის სიგრძე ჰქონია. საფლავი სავსე ყოფილა ნაგავით. *) გამოეწმინდათ და მართლაც ეპოვნათ შიგ დედოფალ თინათინის ნაშთი, რომელიც იქვე ჩაესვენებიათ და დაეკრძალად. რათა არ დაკარგულიყო დედოფლის საფლავი, იქვე კედელში ჩაუსვამთ მარმარილოს ქვა ხუცურის ზედ-წარწერით: „აქა მდებარეობს გვამი კახთა მეფის ლეონის მეუღლის თინათინისა, ამა მონასტრის აღმაშენებლისა. 1519—1534.“ ამას გარდა ეკკლესიაში სურათებითაც ყოფილა: კახთა მეფის ლეონ პირველისა, მეუღლისა მისისა დედოფლისა თინათინისა და მათის შვილის ალექსანდრესი, მაგრამ ეს სურათებიც, როგორც საფლავი, არავინ იცოდა, რომელ ალაგს იყო. ყოვლად-სამღვდელო კირიონს ეს სურათებიც აღმოუჩენია დასავლეთ კარების მარჯვენა კუთხის კედელზე. აუფხეკავათ გალესილი კირი, რომელიც სურათებსა ჰფარავდა, გაუსუფთავებიათ და დღესაც გარკვევით მოსჩანს. ფეხზე მდგომთ ხელები ეკკლესიისაკენ აქვთ გაპყრობილი.

შუამთის მონასტერი დღესასწაულობს შობას ყოვლად-წმინდის ღვთის-მშობლისას 8 სექტემბერს. ამ დღეს ყოველთვის მრავალი ხალხი იკრიბება ხოლმე, მოდიან როგორც თელავიდან, ისე სოფლებიდან. წელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, მონასტრის უშველებელი მინდორი სავსე იყო მლოცავის ურმებითა და მოსულის ხალხით. დღეობისათვის ტფილისიდან ჩამოვიდა ამ მონასტრის წინამძღოლი, რომელმაც მეორე დღეს სწირა. წირვა-პარაკლისზე გალობდა თელავის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა გუნდი რუსულად, ხოლო მონასტრის ძმანი—ქართულად.

წირვის შემდეგ გაიმართა სადილი და ლხინი მლოცავთა შორის; მხოლოდ საღამოზე დაიშალა და დაბრუნდა ხალხი.

დიმიტრაშვილი.

---

*) საფლავი დედოფლისა, როგორ სწერია ეკკლესიის კედელზე ჩამოკიდულ აღწერაში, მდიდრულადა ყოფილა ერთ დროს შემკული, მაგრამ მაჰმადიანების შემოსევის დროს გაუძარცავთ იგი და ნაგვით აუვსიათ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი

ვაშინგტონი. პრეზიდენტ რუზველტის სეკრეტარმა გამოაცხადა, რომ ნიუ-იორკის დოქტორის შეფერის მონაწილეობით პრეზიდენტის ექიმებს რჩევა ჰქონდათ. რადგან დაშავებული ადგილი ცუდ ნიშნებს იძლევა და ამასთან ავადმყოფს სიცხესაც აძლევს, ექიმებმა საჭიროდ სცნეს გაეჭრათ ხორცი ძვლამდე; აღმოაჩინეს, ძვალი ცოტად დაზიანებულიყო. ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ ავადმყოფი განუწყვეტლივ უკეთესობაში წავა. ოპერაცია დოქტორმა რიკსეიმ გაუკეთა. [illegible]ძისი

პარიზი. დილით ზოლა გარდაიცვა[illegible] ცოლი მძიმე ავადმყოფია.

[illegible]-ი იუწყება,

ვილნო. „ვილენსკი ვე[illegible]აკება ანტოკოლ- რომ ეკატერინე მე-II ძე[illegible] რადგან ქანდაკს ის სკის სიკვდილმა შეაჩ[illegible]მავალ წელს მზად იქნება. აკეთებდა. ძეგლ[illegible]

[illegible]პოლი. რუსეთის გემი „კუბა-

კონსტა[illegible]ს ბურგასს წავიდა, ოთხშაბათს თან ნეც“ ს[illegible] დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზმეეს, რომელიც სულთანს ინახულებს.

რიაზანი. გუბერნატორმა ბრიანჩანინოვმა სამს რკინის გზის მმართველობას მიჰმართა თხოვნით, სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხებს სამუშაო მიეცეთო.

პეტერბურგი. 16 სექტემბერს გარდაიცვალა ზღვათა უწყების უფროს სასამართლოს წევრი, გენერალ-ლეიტენანტი ლინდენი.

ვერჟბოლოვო. ჟანდარმთა განყოფილების უფროსი, როტმისტრი მიასოედოვი გერმანიის იმპერატორმა გუშინ მიიწვია რომინტენის ეკკლესიაში წირვაზე, მერე თავისთან სადილზე. ამ მოწყალე მიღების შემდეგ, იმპერატორმა თავისის ხელით ზედ-წარწერით სურათი აჩუქა ჟანდარმს მიასოედოვს.

შეინოვო. ეკკლესიის კურთხევის შემდეგ, ძველად ნამსახური მეომარნი დაათვალიერეს. სადღესასწაულო სადილზედ წარმოთქმულ სიტყვაში მთავარმა ფერდინანდმა მოაგონა, რომ შიპკაოს საშინელებათა მოწამე იყო, რომლის შემდეგ მშვიდობიანობის მზემ ამოაბრწყინა. რუსეთმა მოისურვა, აქ დახოცილ მამაცთა სახელოვანი საქმენი საუკუნოდ სახსოვარი გამხდარიყო და ამის ძეგლად ეკკლესია აგო. ამ მისწრაფების სათავეში ჩადგა რუსეთის იმპერატორი, რომელსაც თან მიჰყვა რუსის ხალხიც. ამ გვარად, შთამომავლობისათვის აიგო რუსეთის მიერ შეწირულის დიდის მსხვერპლის ძეგლი. ამ ეკკლესიის ზარების ხმა ბალკანეთის მთის ორსავე მხარეს ამცნებენ მუდამ მოძმე ხალხის ქრისტიანულ სიყვარულსა და თავგანწირულებას. მართლმადიდებელ სლავიანთა ბედრებას ფუჭად არასოდეს არ ჩაუვლია. დღევანდელი დღე ერთობაა ორისავე ხალხისა. მთავარმა სიხარული გამოსთქვა, რომ დღესასწაულს დაესწრო რუსეთის გენერალისიმუსის შვილი და ბოლგარიის ხალხისა და ჯარის სახელობით მადლობა გადაუხადა ამას წინად იმპერატორის მიერ კეთილ-სათნოების გამოცხადებისათვის.

რიაზანი. გუბერნატორმა წინადადება მისცა ერობათ, მომავალ კრებებზე საზოგადო სამუშაოზე სჯა გამართეთ და დაწვრილებითი გეგმაც შეადგინეთ ამ მუშაობისათ.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს ტიანძინიდან ცნობები მოსვლია, რომ შანჰაიგუანისა და ნიუჩუანის რკინის გზები რუსებმა გარდასცეს ჩინელებს 13-ს (26-ს) სექტემბერსაო.

ტიანძინი. ინგლისის ელჩს ბრძანება მოუვიდა, შეკინ-შანჰაიგუანის გზა დაუყოვნებლივ გარდაეცითო. ტიანძინი 16-ს (29) სექტემბერს უნდა გარდასცენ ჩინელებს.

მოსკოვი. ექიმის ბელეგოლოვის ქვრივმა ოთხი ათასი თუმანი უანდერძა ციმბირში სწავლა-განათლებისათვის მოსახმარებლად.

პარიზი. ზოლას გარდაცვალების საქმე მძიმე სიბნელითაა მოცული. შესაძლებელია თავისს თავის მოკვლაც განიზრახა. ზოლა და იმისი ცოლი ეს-ეს იყო აგარაკიდან დაბრუნდნენ და თავისს სახლში მოვიდნენ ბრიუსელის ქუჩაზე. ზოლას უბრძანებია, საძინებელ ოთახში ბუხარი დაანთეთო. მოსამსახურეს ვერ მოეხერხებინა ბუხრის გაჩაღება; ალბად, ბუხარში ჭვერი კარგად ვერ მუშაობდა. 10 საათი იქნებოდა ზოლა და ცოლი დასაძინებლად დაწვნენ. დილის ათის ნახევარზე კარებზე დაუკაკუნეს, მაგრამ ხმა არ ისმოდა ოთახიდან, ამიტომაც კარები შეამტვრიეს. ოთახიდან სულის შემხუთავი ნახშირის ბუღი გამოვარდა. დაინახეს: ზოლას თავი და ბეჭები ხალიჩაზე იყო, ფეხები კი საწოლის ნაპირზე ეწყო. ეტყობოდა, ლოგინიდან ადგომას ცდილა, რომ ფანჯარა გაეღო. ზოლას ცოლი ლოგინში იწვა და სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა. ექიმებმა მხოლოდ ზოლას ცოლი[illegible]მოიყვანეს გონს. ჩქარა მოვიდა კომისარი [illegible] გამოსაკვლევად თან წაიღო ნასახმი. კომის[illegible] ვერ მიმხვდარა, როგორ შეიძლება ნა[illegible]რის ბუღი ბუხრიდან გამო[illegible]ხო, როცა ბოლო ჭვერს ზევით სულიერ და[illegible]მო. კომისარმა იმასაც მიაქცია ყუ- მიაქვს ბ[illegible], რომ იქვე ოთახში ძაღლები იწვნენ და რა[illegible] დაჭმართნიათ-რა. შუადღისას ქ-ნი ზოლა გონს მოვიდა, მაგრამ ჯერ არ შეუძლია ლაპარაკი.

ტომსკი. ფინანსთა მინისტრი დღეს აქ მოვიდა და საღამოს 8 საათზე გზა განაგრძო.

17 სექტემბერი

პეტერბურგი. დანიშნულ იქმნენ: ვილნოს გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ფონ ვალი—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად და ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსის უფროსად; ფინლიანდიის პირველ მსროლელთა ბრიგადის უფროსი გენ.-მ. ოლხოვსკი—ფინლიანდიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი—ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორად.—ხოლერა სრულიად მოისპო ხაბაროვსკსა და ბლაგოვეშჩენსკში და შესამჩნევად შესუსტდა პორტ-არტურში, სადაც 2-დან 7 სექტემბრამდე 15 კაცი გახდა ავად. ვლადივოსტოკსა, ნიკოლაევსა, უსურიის ნიკოლსკსა და დალნიიში ხოლერა ისევ მძვინვარებს, თუმცა ავადმყოფთა რიცხვი თან-და-თან სუსტდება; დასახელებულ ქალაქებში 2-დან 8 სექტემბრამდე ავად გახდა 74 კაცი, წინა კვირაში—102 კაცი. ამ ქალაქებს გარედ ავად არავინ გამხდარა. 1 სექტემბრიდან მანჯურიაშიაც შესუსტდა ხოლერა: ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის გაყოლებაზე 29 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე სულ 29 კაცი გახდა ავად. ოდესაში 6-დან 16 სექტემბრამდე კიდევ ავად გახდა შავის ჭირის მსგავს სენჭვო ავადმყოფობით 8 კაცი. ოთხი ამათგან გარდაიცვალა. ავად დარიბნი გახდნენ, უმთავრესად ებრაელნი.

ბაქო. ნოვოგოლოვკაში ღამის გათევის შემდეგ შაჰი ლენქორანში წავიდა.

ლენქორანი. მოვიდა სპარსეთის შაჰი ხმელეთით.

ლოძი. „დოდ. ტაგებლატი“ იუწყება, რომ ქალაქ სერადზის მახლობლად მდებარე სოფელი გოჟნიკი თითქმის სულ გადაიწვა. 129 სახლიდან დაიწვა 120 სახლი. ცეცხლის გაჩენის დროს გლეხნი მინდორში იყვნენ. ზარალი 200,000 მანეთამდეა. შენობანი დაზღვეული არ არის. დაიწვა ორი ბავშვი; შიშისაგან მოკვდა ავადმყოფი დედაკაცი. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა—ბავშვების გაუფრთხილებლობა იყო.

ვენა. ჰერც-ჰერცოგის ფერდინანდის მეუღლეს გოგენბურგს 16 სექტემბერს ვაჟი გაუჩნდა. დედაცა ახლად დაბადებულიც ჯან-მრთელად არიან.

ბელგრადი. რადგანაც მაკედონიიდან შესაშფოთებელი ამბები მოდის, აქ მცხოვრებმა მაკედონელებმა 20 სექტემბერისათვის (3 ოქტომბერს) დანიშნეს ყრილობა. ამ ყრილობაზე ლაპარაკი ექმნებათ მაკედონიაში სერბთა მდგომარეობის შესახებ.

პარიზი. გამოკვლევით მტკიცდება, რომ ზოლას თავი არ მოუკლავს. სიკვდილის მიზეზად უბედური შემთხვევა მიაჩნიათ. გამოძიება მაინც ჯერ არ დამთავრებულა. ქ-ნ ზოლას ჯერ არ შეუძლიან თქმა რისამე. ლაქია ამბობს, რომ ცოლი და ქმარი გუშინ მხიარულად იყვნენ. ზოლა სჩიოდა, ბუხარი არ ვარგაო. დღეს უნდა შეეკეთებინათ ეს ბუხარი. რადგანაც იატაკზე უფრო ძლიერი გაზი იყო, ვიდრე მაღლა ჰაერში, ამიტომ მკურნალების აზრით ზოლა გადმოვარდა ლოგინიდან და ამისაგან მოკვდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 სათოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 სათოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 სათოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 სათოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 სათოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 2 ოქტომბერს 1902 წ. ნაშუადღევის 1 საათზე, მის თანადასწრებით იქნება ხელმეორედ ვაჭრობა, 1 სექტემბერს არ შემდგარის მაგიერ, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის კუთვნილ ოთხ სანავთო ნაჭერში ერთი ნაჭერი „ნავთის ქალაში“, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირად, ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ-კუთ. საჟენი, იმ საზღვართა ორის, რომელნიც აღნიშნულია ქალაქის მიწის-მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზე, რაიცა თვით პირობებსა აქვს ზედ-დართული.

ეს ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით ამოღებულის ნავთის საწილადოთ ქალაქ ტფილისის სასარგებლოდ და ამ წილის რაოდენობა იქმნება საგნად ცილობისა ვაჭრობაზე. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზე ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ. ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ $0/_0$-ან ქაღალდებათ 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბე 2,000 მან. ნაღდ. ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო (გირავნობის ფურცლები და ობლიგაციები) $0/_0$-იან ქაღალდებად ზედ-წარწერილ ფასის ანგარიშით; ბ) სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი ადრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, ამოღებულის ნავთის რა წილს აძლევს ქალაქს.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედდართული შემოძლეულს ფასზე და კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზე, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, რომელშიაც ზემოხსენებული პირობანი არ იქნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი. (6 3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 Сентября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).